ოქმი:პ/15927528

თარიღი:29/03/2023

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 29 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ბ. მელუა, ლ. ბიგვავა, ქ. ხომერიკი, მ. ვაშალომიძე, გ. შარაშენიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მერიისა და USID-ის ერთობლივი პროექტის ექსპერტი - რ. ბოლქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა საკითხის განხილვის დაწყებამდე სიტყვა მოხსენებისათვის მისცა მუნიციპალიტეტის მერიისა და USID-ის ერთობლივი პროექტის ექსპერტს - რამაზ ბოლქვაძეს, რომელმაც ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებაში დანერგილ სიახლეებზე და იმ მიღწევებზე, რომლებიც შესაძლებელი გახდა ერთობლივი პროექტის განხორციელებით. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობაზე.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეკითხვები დაისვა სარეზერვო ფონდის ხარჯვის, „სხვა შემოსავლების“ მუხლის 83,9 %-ით შესრულებაზე-გ. ჩავლეშვილი, მუნიციპალტეტის საშუალოვადიანი

განვითარების პროგრამის შესამუშავებლად საპილოტე მუნიციპალიტეტების განსაზღვრის თაობაზე-ხ. ცერცვაძე, რომელთაც მიეცათ შესაბამისი განმარტებები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე